GÜRTİAD

ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
GÜRCÜ VE TÜRK İŞADAMLARI DERNEĞİ

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2020 / 13 – 20 Mart / მარტი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 723.5	4 763.5	5.1 %	11.6 %	6.4 %

Korona Virüs ve Gürcistan'daki Durum
კორონა ვირუსი და საქართველოში შექმნილი მდგომარეობა

19 Mart 2020 tarihinde Gürcistan Başbakanı Sn. Gakharia ve Gürcistan Meclis Başkanı Sn. Talakvadze Güvenlik Konsey sonrası basın toplantısında hükümet tarafından alınan yeni önlemleri açıkladılar. Gakharia'ya göre, virüsü önlenmenin 1. aşaması – ülkeye giriş tamamlandı ve hükümet artık 2. aşamaya virüsün ülke içinde yayılma karşıtı önlemler uygulayacaktır. Bu çerçevede eczane, market, benzin, banka ve posta dışında tüm ticari nesnelerin kapatma kararı alındı. Gakhariya'ya göre bu aşamada OHAL açıklanması gerek yok ama ileride Sağlık Bakanlığı verdiği tavsiyelere göre, bu karar alınabilir. Bu nedenle hükümet kurumlar tarafından OHAL ilan etme mekanizmaları görüşüldü ve gerektiği anda alınan karar 1 saat süre içerisinde tamamlanacaktır. Bu dönemde hükümet, doğrudan bakanlar tarafından yönetilecek dört önemli alanı belirledi: Sivil Sağlık Konusu – Eka Tikaradze, Gıda ve Lojistik – Levan Davitashvili, Asayiş Düzeni – Vakhtang Gomelauri, Ekonomi (az ziyan görmesi) – Maia Tskitishvili. Vatandaşlara çağrı evden çıkmamaktır.

გუშინ, 19 მარტის ღამეს, საქართველოს პრემიერ მინისტრმა გიორგი გახარიამ და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ უსაფრთხოების საბჭოს სხდომის შემდეგ საზოგადოებას მთავრობის მიერ მიღებული ახალი ზომები გააცნეს.

პრემიერის განმარტებით სამუშაოების პირველი ეტაპი - ვირუსის ქვეყანაში შემოსვლის შეჩერების ფაზა უკვე დასრულებულია და ახლა მთავრობა მეორე ეტაპზე, ქვეყნის შიგნით გავრცელების საწინააღმდეგო ზომებს მიმართავს. აღნიშნულიდან გამომდინარე აფთიაქების, სასურსათო მაღაზიების, ბენზინ გასამართი, ბანკების და საფოსტო ქსელის გარდა ყველა სავაჭრო ობიექტი იხურება. პრემიერის განმარტებით ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საჭიროება ამ დროისთვის არ დგას, თუმცაღა ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციის შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილებაც შეიძლება მიღებულ იქნას. აღნიშნულიდან გამომდინარე მთავრობის ინსტიტუტებმა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მექანიზმები განიხილეს და საჭიროების შემთხვევაში გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა 1 საათი დასჭირდება. აღნიშნულ პერიოდში მთავრობამ გამოყო 4 მნიშვნელოვანი მიმართულება, რომლებსაც პირდაპირ მინისტრები უხელმძღვანელებენ:

AK YIL ZEMİN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბეღლავი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

სახალხო ჯანდაცვა - ეკატერინე ტიკარაძე, სურსათი და ლოგისტიკა - ლევან დავითაშვილი, საზოგადოებრივი წესრიგი - ვახტანგ გომელაური და ეკონომიკისადმი ნაკლები ზიანის კონტროლი - მაია ცქიტიშვილი. მთავრობა კიდევ ერთხელ მიმართავს მოსახლეობას არ გავიდნენ სახლებიდან!

Korona virüsün yayılmasını önlemek için Gürcistan'da kurulan Geniş Kapsamlı Koordinasyon Konseyi tarafından alınan diğer kararları aşağıdaki gibidir:
კიდევ ერთხელ გვინდა შეგახსენოთ კორონა ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგოდ მთავრობის მიერ შემოღებული სხვა შეზღუდვები:

1. 18 Mart itibari ile 14 gün boyunca Gürcistan sınır kapıları (Giriş) tüm yabancı ülke vatandaşlar için kapatıldı. Bahsi geçen kısıtlama sadece aşağıda sıralanan kişiler için uygulanmıyor: Gürcistan'da akredite olan diplomatik misyon temsilcileri, uluslararası örgütler temsilcileri ve aile mensupları. Karışık aileleri (aile üyelerinden biri Gürcistan vatandaşı olduğunda yada 18 yaşa kadar çocuğun Gürcistan vatandaşı olduğunda). İnsani görevi ile gelen kişiler. Gürcistan'da göçmen statüsü olan yabancı ülke vatandaşlar. Resmi heyetler.
   18 მარტიდან 14 დღის განმავლობაში დაიკეტა საქართველოს საზღვრები უცხოეთის ყველა მოქალაქისათვის. აკრძალვა არ შეეხოთ: საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიის წარმომადგენლებს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წევრებს და მათ ოჯახებს; შერეულ ოჯახებს (როდესაც ოჯახის ერთ-ერთი წევრი არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოს მოქალაქე არის არასრულწლოვანი შვილი); ჰუმანიტარული მისით მომავალ პირებს (ექიმები, მოხალისეები); ლტოლვილის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს; ოფიციალურ დელეგაციებს.
2. Sarp/Sarpi sınır kapısından yaya ve yolcu geçişlerinin 15 Mart tarihinden itibaren durdurulduğu duyuruldu. Türkiye ile Gürcistan arasındaki diğer iki sınır kapısı olan Türkgözü/Vale ve Aktaş/Kartsakhi sınır kapılarından 18 Mart 2020 tarihi saat 00.00 itibarıyla (17 Mart'ı 18 Mart'a bağlayan gece) Türkiye'ye sadece Türk vatandaşlarının geçişlerine izin verilecek olup, yük taşımacılığı için herhangi bir kısıtlanma uygulanmamıştır.
   15 მარტიდან სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე აიკრძალა ფეხით მოსიარულეებისა და მგზავრების გადაადგილება. 18 მარტიდან თურქეთ-საქართველოს დანარჩენ სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე (ვალე და კარწახი) ნებადართული იქნება მხოლოდ თურქეთის მოქალაქეების გადასვლა თურქეთის ტერიტორიაზე. შეზღუდვები არ ეხება ტვირთ გადაზიდვებს.
3. Gürcistan'daki kış tesisleri ve kayak merkezleri mevsim bitmeden, vaktinden önce kapatıldı.
   საქართველოში სეზონის დამთავრებამდე, ნაადრევად დაიხურა ზამთრის კურორტები.
4. 1 Nisan'a kadar tüm eğitim kurumların kapatma ve online öğretim sistemine geçme kararı alındı.
   1 აპრილამდე დაიხურა ყველა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულება და სკოლები გადავიდნენ სწავლების ონლაინ რეჟიმზე.
5. Hükümet, mümkün olduğu kadar tüm kamu ve özel kuruluşların uzaktan çalışma moduna geçme önerisinde bulundu.
   გაიცა საჯარო და კერძო ორგანიზაციების დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადასვლის რეკომენდაცია.

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

6. Kafe, restoran, bar, spor salon ve spa merkezlerin kapatma kararı alındı. (Mevcut dönemde Gürcistan'daki dağıtım hizmetlerine olan talep %20 - 28 arttı).
   გაიცა რესტორნების, კაფეებისა, ბარების, სპორტ დარბაზების და სპა ცენტრების დახურვის სავალდებულო რეკომენდაცია. (დღეის მდგომარეობით მიტანის სერვისზე საქართველოში მოთხოვნა 20 – 28%-ით არის გაზრდილი).
7. 18 Mart itibarı ile Gürcistan'da Minibüsler/Dolmuşlar (şehirler arası ulaşım dahil) yasaklandı. Tiflis'teki metro ve otobüsler geçici olarak çalışmayı devam ediyor.
   18 მარტიდან აიკრძალა საქალაქთაშორისო და მუნიციპალური სამარშრუტო ტაქსების მოძრაობა.
8. Vatandaşlara mümkün olduğu kadar halka açık yerlerden kaçınmaları ve olabildiğince izolasyonda kalmaları önerildi.
   მოქალაქეებისთვის გაიცა ხალხმრავალი ადგილებისგან თავის არიდების და შესაძლებლობიდან გამომდინარე იზოლაციაში ყოფნის რეკომენდაცია.
9. Hükümet, Geniş Kapsamlı Koordinasyon Konseyi tarafından alınan kararlarının denetleme mekanizması oluştu.
   საბჭომ შემოიღო აღნიშნული გადაწყვეტილებების მაკონტროლებელი მექანიზმები.

Korona virüs hakkında son istatistik verileri aşağıdaki gibidir:
გთავაზობთ კორონა ვირუსის უახლეს მსოფლიო სტატისტიკას ქვეყნების მიხედვით:

Ülke ქვეყანა	Vaka ფაქტი	Ölüm გარდაცვალება	İyileşme გამოჯანმრთელება
Çin / ჩინეთი	80 967	3 248	71 150
İtalya / იტალია	41 035	3 405	4 440
İran / ირანი	18 407	1 284	5 979
İspanya / ესპანეთი	18 077	831	1 107
Almanya / გერმანია	15 439	44	115
ABD / აშშ	14 366	217	125
Fransa / საფრანგეთი	10 995	372	1 295
G.Kore / ს.კორეა	8 652	94	2 233
İsviçre / შვეიცარია	4 222	43	15
Birleşik Krallık / დიდი ბრიტანეთი	3 269	144	65
Türkiye / თურქეთი	359	4	0
Gürcistan / საქართველო	43	0	1
Total (Dünya) / სულ (მსოფლიო)	246 760	10 062 (4,07%)	88 488 (35,85%)

https://www.worldometers.info/coronavirus/#countries

Korona Virüs ve Ekonomi
კორონა ვირუსი და ეკონომიკა

Korona virüsünün yayılmasından dolay ülkede mevcut ekonomik durumu dikkate alarak, Hükümetler Arası Koordinasyon Konseyi iş teşvik planı geliştirmek üzere çalışmayı devam ediyor. Hükümet 4 ay boyunca otellere, restoranlara, turizm acentelere, nakliye ve tur/gezi şirketlerine mevcut emlak ve gelir vergileri erteledi; Hükümet, ülkedeki 4 ila 50 odaya sahip olan otellere banka kredisinin 6 aylık eş finansmanı yapacaktır; Uluslararası finans kurumları ile, özel olarak tahsis edilen fonların kullanım konusunda görüşmeler devam etmektedir; Hükümet, bu durumda işletmelere ve iş insanlara yardım mekanizmaların başka yolların bulmak için çalışmaya devam ediyor.

კორონა ვირუსის გავრცელების შედეგად ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მთავრობათა შორისმა საკოორდინაციო საბჭომ ასევე შეიმუშავა ბიზნესის მასტიმულირებელი გეგმა. გეგმის ფარგლებში მთავრობამ სასტუმროებსა, რესტორნებს, ტურისტულ სააგენტოებს, სატრანსპორტო კომპანიებს და საექსკურსიო კომპანიებს ქონებისა და საშემოსავლო გადასახადი 4 თვით გადაუვადა; 4-დან 50 ნომრამდე სიდიდის სასტუმროები მთელი საქართველოს მასშტაბით მიიღებენ საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის თანადაფინანსებას. მიმდინარეობს მოლაპარაკებები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, მათ მიერ სპეციალურად გამოყოფილი ფონდებიდან რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით. მთავრობა განაგრძობს მუშაობას, რათა აღნიშნულ სიტუაციაში მონახოს ბიზნესისთვის დახმარების გაწევის სხვა საშუალებებიც.

Buna paralel olarak Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı, İş Ombudsmanı ve Tarım Bakanı ile birlikte çeşitli iş sektörlerinin temsilcileriyle bir araya geldi. Görüşmeler tekstil, market zinciri, dağıtım ve ithalatçı firmaların temsilcileri ile yapıldı.

აღნიშნულის პარალელურად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ბიზნეს ომბუცმენთან და სოფლის მეურნეობის მინისტთან ერთად შეხვდა ბიზნესის სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებს. შეხვედრები გაიმართა ტექსტილის, სავაჭრო ქსელების, სადისტრიბუციო და იმპორტიორ კომპანიების წარმომადგენლებთან.

Tekstil sektörü temsilcileriyle toplantının ana konusu maskelerin aktif üretiminin başlatılmasıydı. GÜRTİAD üyesi olan “Adjara Textile” devlete, ülkedeki mevcut durumu dikkate alarak, sosyal sorumluluğu çerçevesinde Gürcistan’da üretilen 500 000 maskeyi ücretsiz temin edecektir. Bu bağlamda Ekonomi Bakanı, Adjara Tekstil fabrikaya ziyarette bulundu ve üretim hakkında bilgi aldı.

Dağıtım ve ithalatçı firma temsilcileriyle toplantının ana konusu finansal ve lojistik konulardı. Toplantı sırasında gıda ve asıl gerekli malzemelerin temini ve mevcut fiyatların korunması konusu da görüşüldü.

სამკერვალო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრის მთავარი თემა პირბადეების აქტიურ რეჟიმში წარმოების დაწყება იყო. გურთიადის წევრი კომპანი „აჭარა ტექსტილი“ შექმნილი მდგომარეობიდან და სოციალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე უსასყიდლოდ უზრუნველყოფს 500 000 პირბადის დამზადებას და სახელმწიფოსთვის მის მიწოდებას. ეკონომიკის მინისტრმა „აჭარა ტექსტილის“ საწარმოში თავად მოინახულა პირბადეების საწარმოო პროცესი.

სადისტრიბუციო და იმპორტიორი კომპანიების წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრის მთავარი თემა ფინანსური და ლოგისტიკური საკითხები იყო. შეხვედრისას ასევე განიხილეს საკვები პროდუქტებისა და პირველადი საჭიროების პროდუქტების მარაგებისა და არსებული ფასების შენარჩუნების საკითხი.

Gürcistan’ın Dış Ticareti: Ocak – Şubat 2020 Yılı
საქართველოს საგარეო ვაჭრობა: 2020 წ. იანვარ-თებერვალი

2020 yılı Ocak-Şubat döneminde Gürcistan'ın dış ticaret cirosu 1 853.8 milyon ABD doları teşkil etmiştir. Bu rakam bir önceki yılın aynı verilerine kıyasla %6 ile daha fazla. İhracat 526.3 milyon ABD dolar (artış oranı %4.5), ithalat ise – 1 327.5 milyon ABD doları (artış oranı %6.7) olmuştur. Negatif ticaret bilançosu 801.3 milyon dolara ulaşarak dış ticaret cirosunun % 43.2 teşkil etmiştir.

2020 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 1 853.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.0 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 526.3 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (4.5 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 1 327.5 მლნ. აშშ დოლარს (6.7 პროცენტით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2020 წლის იანვარ-თებერვალში, 801.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 43.2 პროცენტია.

2020 yılı Ocak-Şubat döneminde Gürcistan'ın toplam dış ticaret cirosunda en büyük on ticaret ortağının payı %70.9 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Türkiye 250.6 mln $, Azerbaycan 226.0 mln $, Rusya 199.0 mln $.

2020 წლის იანვარ-თებერვალში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 70.9 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (250.6 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (226.0 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (199.0 მლნ. აშშ დოლარი).

2020 yılı Ocak-Şubat döneminde Gürcistan'ın toplam ihracatında en büyük on ticaret ortağının payı %78.6 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Azerbaycan – 90.3 mln $, Çin – 65.0 mln $, Rusya – 60.4 mln $.

AK YIL ZEMİN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბეღლავი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

2020 წლის იანვარ-თებერვალში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 78.6 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: აზერბაიჯანი (90.3 მლნ. აშშ დოლარი), ჩინეთი (65.0 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (60.4 მლნ. აშშ დოლარი).

2020 yılı Ocak ay döneminde Gürcistan'ın toplam ithalatında en büyük on ticaret ortağının payı %69.3 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Türkiye – 214.5 mln $, Rusya – 138.6 mln $, Azerbaycan – 135.7 mln $.

2020 წლის იანვარ-თებერვალში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 69.3 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (214.5 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (138.6 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (135.7 მლნ. აშშ დოლარი).

En Fazla İthal Edilen Ürünler
უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეული



En Fazla İhraç Edilen Ürünler
უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეული



Yasa Değişikliği
საკანონმდებლო ცვლილებები

Değerli üyelerimiz, ülkedeki mevcut yasal değişiklikler hakkında her iki dilde makale üyemiz "Nodia, Urumashvili & Partners" www.nplaw.ge şirket tarafından hazırlanmıştır. Derneğimiz "Nodia, Urumashvili & Partners" şirketine işbirliği içi yürekten teşekkür eder, hazırlanmış makalesini bilgilerinize sunarız.

ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები
NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

ძვირფასო წევრებო, ქვეყანაში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული ორენოვანი სტატია მოამზადა ასოციაციის წევრმა „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები" www.nplaw.ge ასოციაცია გულითად მადლობას უხდის თანამშრომლობისთვის კომპანიას „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები" და გთავაზობთ მომზადებულ მასალას.

AK YIL ZEMIN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

13 Mart 2020 tarihinde Gürcistan Hükümeti yeni ''Novel'' gıda ürünleri ile ilgili kural hakkında bir karar alınmıştır. Söz konusu kararla yeni gıda ürünlerinin piyasaya çıkarılması ile ilgili kuralları belirler. Kuralın amacı yeni (''novel'') gıda ürünleriyle ilgili insanların hayatı ve sağlığı, kullanıcılar çıkarlarının koruması ve iç piyasanın etkili bir şekilde faaliyetlerde bulunmasıdır.

Gıda ürünlerinin yeni ''Novel'' ürünü olarak değerlendirilmesi maksadıyla 01 Mayıs 2018 tarihine kadar Gürcistan'da gıda ürünü olarak kullanılmış olmamalı ve emirde açıklanan kategorilerden birine ait olmalıdır. Örneğin, yeni veya önceden, özellikle değiştirilmiş (modı) molekul yapısına sahip olan gıda ürünleri, 01 Mayıs 2018 tarihine kadar içinde bu yapıyı kullanılan gıda ürünleri, mikro organizmalar, mantar veya su bitkilerden içeren gıda ürünleri ve başka.

Milli gıda ürünleri ajansı tarafından onaylanmış piyasaya çıkarabilecek yeni ''Novel'' gıda ürünleri listesi oluşturulacak ve periyodik olarak yenilenecektir.

Söz konusu emir 01 Eylül 2024 tarihinden itibaren yürürlüğe girecektir.

2020 წლის 13 მარტს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება ახალი („ნოველ“) სურსათის შესახებ წესის თაობაზე. აღნიშნული დადგენილება ადგენს ახალი სურსათის ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებულ წესებს. აღნიშნული წესის მიზანია ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის და შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება ახალ („ნოველ“) სურსათთან მიმართებით.

იმისათვის რომ სურსათი ჩაითვალოს ახალ („ნოველ“) სურსათად, იგი არ უნდა იყოს 2018 წლის პირველ მაისამდე პერიოდში საქართველოში სურსათად არსებითად გამოყენებული და უნდა მიეკუთვნებოდეს დადგენილებში ჩამოთვლილი კატეგორიებიდან ერთ-ერთს, მაგალითად როგორიცაა, ახალი ან წინასწარ, მიზანმიმართულად შეცვილი (მოდიფიციებული) მოლეკულური სტრუქტურის მქონე სურსათი, რომელშიც ეს სტრუქტურა არ იყო გამოყენებული სურსათად ან სურსათში 2018 წლის პირველ მაისამდე; სურსათი რომელიც შედგება, გამოყოფილია ან წარმოებულია მიკროორგანიზმებისგან, სოკოებისგან ან წყალმცენერეებისგან; სურსათი, რომელიც შედგება ამავე წესით განსაზღვრული ხელოვნური ნანომასალისგან და ა.შ.

დებულებით გათვალისწინებულია, რომ სურსათის ეროვნულ სააგენტომ უნდა შექმნას და პერიოდულად განაახლოს ავტორიზებული ახალი („ნოველ“) სურსათის ნუსხა, რომელიც ბაზარზე განთავსებისთვის დასაშვებად ჩაითვლება.

აღნიშნული დადგენილება ამოქმედდება 2024 წლის 1 სექტემბრიდან.

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი (13.03.2020)

USD/GEL – 3.1568 TRY/GEL – 0.4830 EUR/GEL – 3.4109 GBP/GEL – 3.6376

USD/GEL

13 – 20 Mart 2020

USD/TRY

13 – 20 Mart 2020

TRY/GEL

13 – 20 Mart 2020